სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №70

ქ. ბათუმი 14 მარტი, 2016 წელი

ერთი მხრივ სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯემალ ანანიძის სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს. „EMI" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ბადრი მანველიძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი

1.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი - საკანცელარიო და საოფისე საქონელი.

1.2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, CPV კოდი, ოდენობა, ერთეულის ფასი, მოცემულია დანართში (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 395.25 (სამას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 25 თეთრი) ლარს.

2.2. საქონლის ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.3. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

2.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ განხორციელდება, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში [illegible]

2.5. დაფინანსების წყარო - შოთა რუსთაველის ეროვნულის სამეცნიერო ფონდის გრანტი, საგრანტო ხელშეკრულება №FR/414/1-10/14.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების (კონტროლის) პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ხელშეკრულების პირობების შესრულების სხვაგვარ ზედამხედველობას განახორციელებენ: **ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი როლანდ ხალვაში და შოთა რუსთაველის ეროვნულის სამეცნიერო ფონდის გრანტი, საგრანტო ხელშეკრულება №FR/414/1-10/14 - ის სამეცნიერო ხელმძღვანელი ჯემალ კარალიძე**. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით მიანიჭოს შემსყიდველის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის" და ,,მიმწოდებელის" მიერ სამმისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

შემსყიდველი

მიმწოდებელი

4.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება საქონლის მიწოდების ადგილზე;

4.3. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის არმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2016 წლის 18 მარტისა;

5.2. მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ. №35.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.3 %-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 10 (ათი) %-ის ოდენობით.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკ-რულება.

6.4. წინამდებარე ხელშეკრულების 8.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკ-რულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულკების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალ-დიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედე-ბები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკ-რულების შესრულებაზე.

9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარე-მოებათა დასრულების შემდეგ.

9.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარ-

---

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

9.4. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადების დღიდან 2016 წლის 10 მაისამდე.

11. სხვა პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ის პუნქტები, რომელიც ხელშეკრულების რომელიმე მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას, ასეთი უფლების გამოყენება არ წარმოშობს ხელშეკრულების მეორე მხარის რაიმე ვალდებულებას, თუ წინამდებარე ხელშეკრულება პირდაპირ არ აწესებს ასეთზე ხელშეკრულების მხარის ვალდებულებას, გარდა ხელშეკრულების მხარის ვალდებულებისა, რომ მან პატივსადები მიზეზების არსებობის გარდა ხელი არ შეუშალოს ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების გამოყენებას.

11.3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები მოცემულია მთლიანად ხელშეკრულებაში და სადაოობისას ხელშეკრულების რომელიმე მხარეს უფლება არ აქვს მხარეთა უფლებების ან/და მოვალეობების განსაზღვრისას მიუთითოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების იმ პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებებს.

11.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით, რაც ნიშნავს, რომ სადაოობისას არცერთ მხარეს უფლება არ აქვს მიუთითოს, რომ მისთვის ცნობილი არ იყო ხსენებული სამართლებრივი აქტების ან მისი ცალკეული ნორმისა თუ დებულების თაობაზე.

11.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ს.ნ. 245 428 158 ბ/კ: TRESGE22 მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში	შ.პ.ს. „EMI“ ს.ნ. 445 389 393 ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“ ბ/კ: MIBGE22 ანგ. №GE27PC0343600100013008
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	შ.პ.ს. „EMI“-ს დირექტორი
ჯემალ ანანიძე	ბადრი მანველიძე
შემსყიდველი	მიმწოდებელი

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	დასახელება	CPV	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6	7
1	საწერი ქაღალდი	30197620	შეკვრა	26	7,5	195
2	საწერი კალამი (ტუში)	30192121	ცალი	47	0,85	39,95
3	საწერი კალამი	30192121	ცალი	66	0,3	19,8
4	ბლოკნოტი	22816100	ცალი	14	5,75	80,5
5	რვეული	22815000	ცალი	100	0,6	60
	ჯამი - სამას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 25 თეთრი					395,25

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 14 მარტი, 2016 წ.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს მიერ საკანცელარიო და საოფისე საქონლის შესყიდვის თაობაზე არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შპს ,,EMI"-სთან. (ს.ნ.ს. 445 389 393).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯ. ანანიძე

საფინანსო–ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი გ. გვარიშვილი

მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი რ. ხალვაში

შესყიდვების სამსახურის უფროსი გ. აბულაძე

საგრანტო ხელშეკრულება №FR/414/1-10/14 - ის
სამეცნიერო ხელმძღვანელი ჯ. კარალიძე.